




JEWISH-CHRISTIAN RELATIONS IN GEORGIA:
ST SIDONIA AS THE FIRST
JEWISH MISSIONARY WOMAN



JEWISH-CHRISTIAN RELATIONS IN GEORGIA: ST SIDONIA AS THE FIRST JEWISH MISSIONARY WOMAN

The long history of Jewish-Christian relations in Georgia embraces more than two millennia. This is confirmed by numerous Georgian chronicles, but the one called *Kartlis Tskhovreba* most convincingly describes it in the context of the history of Babylonian captivity by King Nebuchadnezzar II and the destruction of the First Temple (586 BCE): “After the passing of much time, King Nebuchadnezzar invaded Jerusalem. The Hebrews who fled from there came to Kartli [Eastern Kingdom of Georgia]; they asked the land steward of Mtskheta to allot them some land and to put them under tribute. The land steward agreed to their request and let them settle in the gorge of the river Aragvi by the spring, which is called Zanavi”, tells Leonti Mroveli, the XI c. Georgian historian.



Another wave of Jewish refugees reached Georgia in the 1st century AD after they were exiled by Vespasian, who besieged Jerusalem during the Jewish rebellion. The Jewish refugees of the second wave also settled in Mtskheta, which was the capital of Kartli, the Eastern part of Georgia. This story could also be proved by the references to the «Uria’s (Jewish) district» which existed in Mtskheta as one of the Great quarters of Jews during the reign of Alexander the Great.




Dozens of historical documents confirm that the Jewish language was among the six languages used in Georgia at the time: Armenian, Georgian, Khazary, Syriac, Hebrew, and Greek – “All the kings of Kartli spoke these languages, and so did the whole population, including men and women”. In addition, the earliest archaeological artefacts proving the existence of Jews in Georgia, such as the gravestones with Hebrew and Aramaic inscriptions discovered in Mtskheta, prove that between the third and fourth centuries, Jews lived in the vicinity of Uria’s district in Mtskheta.






The history of unique relationships between the Georgians and the Jews has largely been determined by the role that Jews played in the formation of the Christian groundwork in Georgia. According to the ancient ecclesiastical tradition, the Georgian Church possesses one of the most glorious relics of Christianity – The Chiton (Tunic) of our Lord Jesus Christ.

This tradition links the Georgian Church with the very outset of Christianity that has been proved by the chronicles mentioned earlier. According to the legend during the reign of King Aderki of Kartli in the 1st century A.D., a Georgian Jew from Mtskheta named Elioze and his sister Sidonia, learned that a wondrous Child had been born in Jerusalem. Elioze and his fellow Jew named Longinos travelled to Jerusalem, as “the scholars of the faith”, to meet Jesus, but they arrived later, when Jesus was already crucified on Golgotha. The soldiers cast lots for Jesus’ Chiton and it was acquired by Elioze and Longinos, who carried it to Georgia with Great honour.



Upon their arrival to their native city, Elioze was met by his sister Sidonia. With much grief, Sidonia listened to the story of Jesus’ crucifixion, clutched His robe to her chest, and immediately passed away. According to the legend, nobody could take the Chiton off Sidonia’s arms and therefore, Elioze had to bury his sister together with this holy relic. The place where St. Sidonia is buried together with Christ’s Tunic is preserved in the Svetitskhoveli Cathedral, which is located in the historic town of Mtskheta and is considered to be an endangered cultural heritage site of Georgia. This story of the miracle is also related to the belief that sweet-scented fragrant myrrh began to flow from the foundation underneath the Holy Pillar, where St. Sidonia was buried. Her tomb served as the pedestal for the life-giving pillar and became the holiest place in the Svetitskhoveli Cathedral as the burial site of the Tunic of Christ.

From this legendary story the following things are particularly obvious: 1) St. Sidonia was a Jew. 2) She is the first saint without being formally baptized by the Church. 3) Very definitely the first Saint, as the Georgian Orthodox Church was founded soon after the crucifixion, at the first century by the Apostle of Jesus - St. Andrew the First-called and Simon the Canaanite. Therefore, in the Church calendar issued by Patriarchate of Georgia St Sidonia is named as the “First Martyr” of the Georgian Orthodox Church on 14th October. The foregoing point of view regarding St. Sidonia served as the basis for the Georgian Orthodox Church to formulate her teaching regarding the significance of the Jews to the church and to the Georgian nation. This teaching includes the following points:



1. The Chiton of our Lord Jesus Christ has been brought to Mtskheta by the Georgian Jews not accidentally but quite deliberately by God’s will.
2. The particular mission was given to the Georgian Jews for the Georgian history due to their attitude toward Jesus Christ as a Savior.
3. The Georgian Jews paved the way for the conversion of the Georgian people to Christianity.

Catholicos Patriarch Ilia II frequently emphasizes the role of the Jewish lady St. Sidonia in the life of the Church and the Georgian nation. In 2015, St. Sidonia’s mother was also listed among the saints of the Georgian Orthodox Church by the Synodal decision and endorsed by the Patriarch Ilia II.




One more remarkable story that indicates the deep Jewish traces in Georgia is related to the mantle of Elijah brought by Jews to Mtskheta during the siege of Nabuchodanazzar. According to a medieval legend, the mantle is buried with the Chiton of Jesus Christ in Svetitskoveli Cathedral, which is referred to as the “Holy of the Holies” or the “Mother of all churches” in Georgia. What makes this legend particularly significant is that in Georgian chronicles the mantle of the prophet is cited in conjunction with the shroud of Christ. Their unity and presence in one and the same sacred space - the Svetitskhoveli Cathedral, stands for the fulfillment of the Old and the New Testaments in “new Jerusalem” of the city of Mtsketa. It is obvious that the importance of the relic of the mantle promoted the special cult of the prophet in Georgia as evident throughout the Georgian folk culture dedicated to St. Elijah.





The Prophet Elijah is considered to be a protector of the Georgian royal families. According to the ancient Akathist text his mantle is believed to have been buried in Georgia and therefore, naturally became a symbol of protection of the Georgian state. In the decoration of the dome of Khakhuli monastery, dated to the medieval period, the scene of the Ascension of the Prophet is presented in the context of the conversion of Kartli (the Eastern Kingdom of Georgia) into Christianity.


Truly, the prophet Elijah occupies a special place in both, Judaic and Christian Eschatology. According to Judaic tradition, he is a “messenger” of the Messiah and restorer of God’s people, whereas in the Christian tradition he is considered to be the “witness” and forerunner of the Second Coming of the Lord. Thus, the context of conversion of Kartli may elaborate on the statement that the relics buried in Georgia – the mantle of Elijah and the Chiton of Christ had implications not only for the past and present but also in eschatological sense. Moreover, throughout the medieval period, the eschatological connotations were attached to the concept of protecting the Georgian kingdom. From that time the Biblical attribution of the Bagrationi Royal House (ruling country in the X-XVIII centuries) was widely discussed in Georgia. The depictions of the Biblical King David’s harp and sling on the royal coat of arms of the Bagrationi family is a clear reference to that.



The special importance of this theme was reflected even in the writings of Constantine Porphyrogenitus, according to which Iberians (Georgians) claimed to be the descendants of the Biblical King David. Notably, none of the dynasties in the history of Byzantine Empire succeeded in establishing the idea of their Biblical origins, while it became a special privilege given to Georgian sovereigns.


Additionally, the existing opinion on Jerusalem as the burial place of Tamar the Queen of Georgia (1178-1213) has arguably been declared by the letter of G. de Bois, preserved in the Vatican archive. According to the source Queen Tamar left a will while she was still alive stating that she wished to be buried in Jerusalem after her death.

Yet again, the medieval Georgian poet Shota Rustaveli, author of the Georgian epic poem *The Knight in the Panther's Skin* has also found his eternal resting place at the monastery of the Holy Cross in Jerusalem.



The area surrounding Svetitskhoveli Cathedral provides us with a notable confirmation of the long history of Jewish presence in the Mtskheta region. Therefore, some resemblance with Church of the Holy Sepulcher is obvious. For instance, from the time of its foundation the Svetitskhoveli Cathedral was referred to as the «Holy of Holies,» but was later given the Georgian name Svetitskhoveli, where “Sveti” means pillar and “Tskhoveli” means life-giving. Besides, a small stone chapel within the cathedral is of considerable interest. It copies the Chapel of the Holy Sepulchre in Jerusalem.

In front of the stone chapel, the most westerly structure aligned with the columns between the aisle and the nave marks Sidonia's grave. On the right side from the entrance of the Cathedral is baptismal font made of stone dating from the 4th century. This characteristic element intends to create a topographical replica of Jerusalem in Mtskheta and its surrounding area; the fact that a number of churches and various places bore the names that originated in Jerusalem supports the theory of the close relationship between the two nations since antiquity. Svetitskhoveli, which is considered as a masterpiece of the Early Middle Ages, was originally built in the 4th century A.D., and is now recognized by UNESCO as a World Heritage Site.





Jewish presence in the vicinity of Svetitskhoveli is demonstrated by a variety of written documents recovered during archaeological excavations. For instance, the first Hebrew inscription was discovered in 1872 at the Samtavro cemetery in Mtskheta. The epitaph was found on a stone cist dated to the 4th-5th cc. A.D. and coincides to some extent with time of Nino of Cappadocia and the enlightener of Kartli.



The second Hebrew inscription was discovered at the Samtavro cemetery in 1983. The inscription is one of the reliable evidences proving the history of Jewish-Christian relations in antiquity. On the stone slab of Jewish man Ioseb Bar Hazan, which is dated to the 4th-5th centuries, the depictions include a loaf of bread, a cup, and a pitcher.

In 1992 during archaeological excavations in the immediate vicinity of the Svetitskhoveli, Cathedral a jug along with a gold plate were discovered with a Judeo-Aramaic inscription dated to the 4th century A.D. This relic is known as an amulet of Abraham and Sarah's grandson – Jacob. In the amulet a Hebrew incantation is quoted from the Biblical passage: "When Jacob saw them he said, "This is God's army!" So he called the name of that place Mahana'im" (Genesis 32:2, RSV) The relic with a mystical meaning acquired a significant meaning for Jewish-Christian relationships as it has been discovered in the surrounding area of the Svetitskhoveli Cathedral,



that may indicate to the fact that holy rituals were equally available to be performed by Jews and Christians at this time.



Throughout the centuries Jewish and Christian connections remained tight in Georgia. One of the extraordinary evidences of this is preserved in the document Mtskheta Charter, dated to 1392. Here is mentioned a Jewish man called Elioze Eliozeidze who worked on transcribing church documents and was appointed as a crucifer in the Church, which was an honourable position in the medieval church, meaning to serve the church hierarchs in their ministry. The Italian traveller Marco Polo, who visited the country in 1272, also confirms Christian-Jewish peaceful cohabitation of Muslim and Armenian residents in Tbilisi, which undoubtedly proves the interethnic and interreligious coexistence in the medieval Georgia.

Tavsili



Since the 11th century, the Jews of Georgia have maintained an orally transmitted translation of the Torah called the *tavsili*. Written in a combination of Old Georgian and vernacular Judeo-Georgian, the *tavsili* also includes many Hebrew words - unusual for Torah translations. The word *tavsili* is a Georgian cognate of the Arabic *tafsir*, the term used in the 10th century for Saadia Gaon's Judeo-Arabic Torah translation. This is due to contact between Arabic-speaking Jews and Georgian-speaking Jews in the 8th to 11th centuries following the Arab invasion of Georgia.

In addition, the interreligious relationships were affirmed by the community of Svaneti (the region of Georgia with the highest mountains) famous for its religious conservatism, through maintaining the ancient tradition of venerating the Hebrew Torah, which has been kept as a relic in Svaneti from the Middle Ages. The elders, regarded as the most significant individuals in the region, swear an oath on the scroll while at the same time still preserving and treasuring their Orthodox Christian faith.




Two editions of biblical scriptures are another magnificent testaments for Jewish-Christian interconnections in Georgia: 1) The Lailashi Bible (X-XI cc.), which confirms centuries-old relationships between Jews and Christians in Georgia. 2) The Bible of Breti (XVI c.), which is considered as the most venerated sacred book for both Georgian Jews and Christians.



Lailashi is the name of the village in the western part of Georgia with the historical presence of the largest Jewish settlement. Lailashi was a famous trading centre where Georgians, Jews, Armenians, and Greeks coexisted peacefully thus setting a perfect example for an interfaith community. In medieval times, the village of Lailashi functioned as the place where Georgian national treasures were preserved. Throughout the multiple invasions of the country by various conquerors, sacred ecclesiastical artifacts and valuable objects were removed from churches and monasteries and stored in Lailashi because of its naturally fortified location. The Bible of Lailashi is among them due to being an extremely rare edition of the Pentateuch, thought to have been written in the X-XI centuries, as proved by its palaeographic analysis.

With the connotation of the Hebrew word *laila* (night or dark), the bible was deemed to have been written by different people at different locations in Palestine, Egypt, and Persia. It was presumably brought to Georgia during the large migration wave of Jews to Georgia. According to legend, the Lailashi Codex was brought to Georgia on the wings of angels. The villagers saw a floating book in a unidentified river and rescued it from the stream.



The Lailashi codex represents a handwritten version of the Torah, accompanied with comments and colourful geometrical decorative figures. It was believed to have wonderworking powers and was commonly venerated by both Jews and Georgians throughout the centuries.

The Bible of Breti is the name for another old manuscript preserved in Georgia. This copy of the Bible was initially handwritten. A lot of legends exist about the miraculous nature of the “Bible”. After a long time, the Bible of Breti became the main book in the worship of both the Jews and Georgians in Georgia. According to the chronicles not only the Jews, but also the Georgian people offered sacrifice and donations there – Breti, and prayed for health and recovery. Supposedly, the Bible was made in Thessaloniki in 1513 and only later it became the property of the Georgian Jewish community of Breti, a town in Shida Kartli, one of the regions of Georgia. It was handwritten on the parchment and had leather-wrapped cover. Since the second half of the 19th century, the medieval handwritten version of the “Bible” was altered by the printed one. The handwritten original is now preserved at the National Manuscript Center of Georgia.



Judeo-Georgian Intonation



The Jewish community of Georgia is one of the oldest in the world (approx. 2600 years old!). Their speech differs from that of their non-Jewish neighbors in grammar and the use of Hebrew words. But the most distinctive feature – the one that non-Jews highlight when imitating Jewish speech – is their intonation, the melody of their sentences.


www.jewishlanguages.org

Jewish writer Nathan Eliashvili notes in his book *The History of Georgian Jews* that Georgians are hospitable and warm by nature and welcome every visitor into their homes. Georgians felt honoured and considered it to be their moral duty to welcome Jews, because they believed in the Jewish origins of their beloved and venerated royal family of Bagrationi. With a long history of coexistence Jews never assimilated with Georgians and preserved their faith and language intact. However, they greatly valued the Georgian language, and during a long coexistence with the local people they fully mastered their Georgian and even created a rather mixed local dialect currently called Judaeo-Georgian Kartvelian dialect.

A small Jewish community survived to the present day, mostly in Tbilisi - the capital of Georgia. The places where the Jews used to live still preserve artefacts indicating their presence – most notably synagogues and cemeteries.




Besides the one in Tbilisi, small Jewish communities exist in Kutaisi, Gori, Batumi, Surami, Kareli, Akhaltsikhe and other towns. The David Baazov Museum of History of the Jews of Georgia and Georgian-Jewish Relations represents the centuries-old history of the Jewish presence in Georgia. The museum located in Old Tbilisi displays a variety of archaeological, ethnographic, epigraphic and historical artefacts including old manuscripts, photographs, artworks, video archives and etc.




I believe that friendship with the Georgian Jews is essential in the process of enriching the centuries old tradition and continuing to learn from each other's sacred traditions. Moreover, becoming a supporter of the other religion does not mean losing one's own identity; instead, it enables each of us to enter into the joy of knowing God's full plan of salvation for every religion and nation.

@ Designed by Vladimer Narsia



ეგრულ-ქრისტიანული ურთიერთობები
საქართველოში: ჯმინლა სიღონია - პირველი
ეგრული მისიონერი ქალი



Supported by
JOHN PAUL II CENTER
for
INTERRELIGIOUS DIALOGUE

ებრაულ-ქრისტიანული ურთიერთობები საქართველოში: წმინდა სიდონია - პირველი ებრაელი მისიონერი ქალი

საქართველოში ებრაულ-ქრისტიანული ურთიერთობის ისტორია ორ ათასწლეულზე მეტი ხნისაა. როგორც ქართული, ასევე სხვაენოვანი ისტორიული წყაროები გვარწმუნებენ, რომ ებრაელთა საქართველოში მოსვლა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას (ძვ.წ. 586) უკავშირდება: “და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა; მისცა და დასხნა არაგვსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი“ - მოგვითხრობს XI ს. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი. ამის შემდეგ ქართლის სანახებში ებრაელთა საკმაოდ ღონიერი ახალშენები აღმოცენდა.



მსგავს შემოსახლებებს საქართველოში შემდეგშიც ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით ახ.წ. 70 წლის ახლო ხანს, რომელიც ვესპასიანეს დარბევის ისტორიას უკავშირდება. ეს ამბავი ცნობილია სხვადასხვა წერილობითი ძეგლით, განსაკუთრებით კი წიგნით, რომლის ძველ ქართულ თარგმანს ეწოდება “იერუსალიმის წარტყვევნა.“ აღნიშნული წყაროს მიხედვით, რომელი კეისრის იულიუს ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.) ებრაელ ლტოლვილთა ერთი ნაკადი მცხეთაში დასახლდა,



რომელიც მაშინ ქართლის დედაქალაქად იწოდებოდა. ამ ისტორიას ადასტურებს ცნობა მცხეთაში ებრაული უბნის - “ჰურიათა დასახლების“ - არსებობის შესახებ და, ასევე, საისტორიო დოკუმენტები, რომლებიც იმდროინდელ საქართველოში ებრაული ენის ფართოდ გავრცელებაზე მოწმობენ ქართულ, სომხურ, ხაზარულ, სირიულ და ბერძნულ ენებს შორის.


გარდა ამისა, საქართველოში ებრაელთა არსებობას ადასტურებს უძველესი არქეოლოგიური არტეფაქტები, როგორცაა მცხეთაში აღმოჩენილი საფლავის ქვები ებრაული და არამეული წარწერებით და სხვა.





ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უტყუარი მოწმობაა საქართველოში ქრისტიანობის პირველსაფუძვლების ჩამოყალიბების და მასში ებრაული თემის მონაწილეობის არსებობისა. „მოქცევაი ქართლისაჲში“ ხაზგასმულია ებრაელთა განსაკუთრებული როლი საქართველოში მონოთეიზმის იდეის გავრცელების და გაქრისტიანების

საქმეში. ამავე წყაროს თანახმად, წმ. ნინოს პირველი თავშესაფარი ქალაქ ურბნისის ებრაული გალუთის სინაგოგა უნდა ყოფილიყო: „და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისთვის ებრაელებისა და ვიყავ მუნ ერთი თუე, და განვიცდიდი ძალსა ამა ქუეყნისასა.“ მეტიც, „მოქცევაი ქართლისაჲს“ მიხედვით, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქარველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი - ქრისტეს კვართის ჩამომტანი საქართველოში.




წმ. სიდონიას ისტორია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ქრისტიანობის პირველსაფუძვლებთან დამაკავშირებელი ისტორიაა, რომელიც უფლის კვართის საქართველოში ჩამოხრძანების მიუწვდომელ და ღვთაებრივ განგებულებაზე მოგვითხრობს.



გავრცელებული ისტორიული ნარატივის მიხედვით, უფლის კვართზე წილის ყრის შემდეგ მცხეთელმა ებრაელებმა კვართი საქართველოში ჩამოაბრძანეს. დაბრუნებულ ელიოზს მცხეთაში მისი და სიდონია შეეგება, რომელმაც მოისმინა რა ქრისტეს ჯვარცმის ისტორია, კვართი გულში ჩაიკრა და იქვე გოდებით განუტევა სული. გადმოცემის მიხედვით სიდონიას გაცივებული ხელებიდან უფლის კვართის მოშორება ვერანაირად შეძლეს, რის გამოც იძულებულნი შეიქმნენ, სიდონია კვართთან ერთად დაეფლათ. ადგილი, სადაც დაკრძალეს წმინდა სიდონია, შეიქმნა მაცოცხლებელ წყაროდ: იქ ჩამოეშვა ნათლის სვეტი და ეს ადგილი გახდა უწმინდესი ადგილი მცხეთაში. სწორედ ამ ადგილსა და მასში სასწაულებრივ აღმართულ სვეტს ეწოდა სვეტიცხოველი.


ამ ისტორიაში განსაკუთრებით თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია შემდეგი: 1) წმინდა სიდონია იყო ებრაელი ქალი, 2) ის არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი წმინდანი, 3) მისი ისტორია დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ საფუძვლებთან - ე.ი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაბადებასთან, რომელზეც პირველი ტახტი მოციქულებმა წმ. ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა დაიდგეს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ საეკლესიო კალენდრის მიხედვით წმ. სიდონიასადმი პატივგება წლის განმავლობაში ორჯერ არის დაწესებული, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი წმინდანისა. მეტიც, 2015 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა წმინდანად შერაცხა წმინდა სიდონიას დედაც. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას წმინდა სიდონიას და ქართველი ებრაელების ღვაწლის მიმართ ჩამოყალიბებული აქვს შემდეგი პოზიცია:



1. ქართველი ებრაელების მიერ უფლის კვართის საქართველოში ჩამოტანა ღვთის განგებით მოხდა და არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს.
2. იესო ქრისტესადმი, როგორც მხსნელისადმი, დამოკიდებულებამ ქართველ ებრაელების განსაკუთრებული როლი გამოკვეთა საქართველოს ისტორიაში.
3. ქართველმა ებრაელებმა საფუძველი ჩაუყარეს და გზა გაუხსნეს ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში.



კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც საქართველოში ებრაელების უძველეს კვალზე მიუთითებს, უკავშირდება წინასწარმეტყველ ელიას ხალენის მცხეთაში ჩამოტანის ისტორიას. გადმოცემის თანახმად, წმ. ელიას ხალენი დაფლულია სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში, იესო ქრისტეს კვართთან ერთად. ალბათ ამ უდიდეს სიწმინდეთა არსებობამ განაპირობა სვეტიცხოველის ტაძრისთვის “საქართველოში ყოველთა ეკლესიის დედის” და “წმინდათა წმინდას” სახელდება და პატივის მინიჭება. ქართულ მატრიანეებში ელია წინასწარმეტყველის ხალენის მოხსენიება იესო ქრისტეს კვართის გვერდით სიმბოლიზირებს მცხეთის “ახალ იერუსალიმად” აღიარებას, როგორც ძველი და ახალი აღთქმის სიწმინდეთა ადგილისა, რაც ამავდროულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან ისტორიას.






წმ. ელიასადმი განსაკუთრებული სასოება ქართველ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გერბზე ხალენის გამოსახულებითაც დასტურდება. ელია წინასწარმეტყველი ქართული სამეფო ოჯახის მფარველი წმინდანია. უძველესი აკათისტური ტექსტის მიხედვით, რადგან წმ. ელიას ხალენი საქართველოშია დაკრძალული, იგი სამეფოს ძლიერებისა და მფარველობის სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ.

მეტიც, ხახულის მონასტრის გუმბათის ფრესკათა მორთულობაში წინასწარმეტყველ ელიას ზეცად ამალლების სცენა ქართლის გაქრისტიანების შინაარსით არის გადმოცემული. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ წმ. ელია წინასწარმეტყველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ესქატოლოგიაში.


თუმცა, არამარტო ქრისტიანულში, არამედ იუდაურ ესქატოლოგიაშიც, რომლის თანახმად, წინასწარმეტყველი ელია არის მესიის წარმოგზავნილი და “რჩეული ხალხის” წინამძღოლი ღვთის გზაზე. ქრისტიანული ესქატოლოგიური ღვთისმეტყველების მიხედვით კი წმ. ელია წინასწარმეტყველი მიიჩნევა უფლის მეორედ მოსვლის წინამორბედად და “ახალი ისრაელის” იმედად.



ამრიგად, “მოქცევაი ქართლისაის” კონტექსტში ხალენისა და კვართის თანამყოფობა არამარტო ისტორიულ, არამედ ესქატოლოგიური შინაარსის მატარებელიც არის, რასაც ადასტურებ მათი გამოსახვა ბაგრატიონთა სამეფო გერბზე - ბიბლიურ-წარმომავლობითი მინიშნებით. ამ ფაქტს ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება, რომლის მიხედვით იბერები თავს ბიბლიური მეფე დავითის შთამომავლებად მიიჩნევდნენ.


ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიას განსაკუთრებულ ელფერს სძენს მეფე თამარის (1178-1213) ანდერძი და მისი სავარაუდო საფლავის შესახებ ცნობა. მეცამეტე საუკუნის ფრანგი ისტორიკოსის დებოას ცნობით თამარ მეფის ცხედარი შესაძლოა გადასვენებული იყოს იერუსალიმში, მისი ძის ლაშა გიორგის მიერ. ამ ცნობას ამყარებს თამარ მეფის ანდერძი იერუსალიმში მისი ნეშტის დაკრძალვის შესახებ.

იქნებ, სწორედ ამ მოვლენასთან არის კავშირში ქართველთა უკვდავი პოემის “ვეფხისტყაოსნის“ ავტორის - შოთა რუსთაველის სამუდამო განსასვენებლად იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამორჩევა.



სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს დაარსების დროიდან მოიხსენიებდნენ, როგორც „წმიდათას“, მაგრამ მოგვიანებით მიენიჭა ქართული სახელი სვეტიცხოველი, სადაც „ცხოველი“ ნიშნავს მაცოცხლებელს. სვეტიცხოვლის ტაძრის ასამბლეის სამხრეთ ნაწილში განთავსებულია მცირე ზომის სამლოცველო, რომელიც აგებულია იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის მცირე ეკუდერის - კულუკლიის ანალოგად.

ქვის სამლოცველოს წინ, ყველაზე დასავლეთით მდგომი ნაგებობა, სვეტებსა და ნავს შორის, სიდონიას საფლავს მიუთითებს. საკათედრო ტაძრის შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს არის IV საუკუნით დათარიღებული ქვისგან დამზადებული სანათლავი. ის ფაქტი, რომ რამდენიმე ეკლესია და ადგილი ატარებდა სახელებს, რომლებიც წარმოიშვა იერუსალიმში, ორ ერს შორის მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს. სვეტიცხოველი, რომელიც ადრეული შუა საუკუნეების შედეგად არის მიჩნეული (თავდაპირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში აიგო) და იუნესკოს მიერ არის აღიარებული, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი.





მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია საქართველოში ებრაელთა ხანგრძლივი არსებობის ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა. ამ ადგილებში მრავლად არის აღმოჩენილი ებრაული სამარხები და არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც უნიკალური წყაროა ქართულ-ებრაული ურთიერთობის სიღრმისეული ანალიზისთვის. განსაკუთრებით, 1872 და 1983 წლებში მცხეთაში, სამთავროს სასაფლაოზე აღმოჩენილი ეპიტაფიები, რომლებიც IV-V სს-ით თარიღდება.

ასევე, 1992 წელს აღმოჩენილი დოქი, ოქროს ფილასთან ერთად, იუდეო-არამეული წარწერით. ეს რელიკვია ცნობილია ბიბლიური აბრაამისა და სარას შვილიშვილის იაკობის ამულატის (შელოცვა) სახელით. ამულატში ციტირებულია

ებრაული შელოცვის ტექსტი, დაბადების წიგნიდან: “თქვა იაკობმა მათ დანახვაზე: ეს ღვთის ბანაკია; და უწოდა სახელად ამ ადგილს მახანაიმი (ორბანაკი)” (დაბ. 32:2).



ეს აღმოჩენა განსაკუთრებით ფასეულია იმ ვარაუდის განსამტკიცებლად, რომ მცხეთაში უძველესი სარიტუალო ადგილები შესაძლოა საერთო და ზიარი ადგილები ყოფილიყო ებრაელი და ქრისტიანი მორწმუნეებისთვის.



საქართველოში ებრაულ-ქრისტიანული საუკუნოვანი ურთიერთობების შესახებ მოწმობს 1392 წლით დათარიღებული დოკუმენტიც - “მცხეთის ქარტია“. აღნიშნული დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ებრაელი კაცი ელიოზ ელიოზიძე იმდროინდელ ეკლესიაში საეკლესიო დოკუმენტების გადამწერად დაუნიშნავთ. მეტიც, იგი ეკლესიაში ჯვარის მტვირთველის საპატიო მისიასაც ასრულებდა, რაც ნიშნავს, რომ ებრაელი კაცი მონაწილეობას იღებდა საეკლესიო მსახურებებში. ამასთან კავშირში საყურადღებოა იტალიელი მოგზაური მარკო პოლოს ცნობა (1272 წ.), რომლის მიხედვით თბილისში ებრაელებთან ერთად მუსლიმები და სომხები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად, რაც საქართველოში მდიდარი ტოლერანტობის ისტორიასზე მოწმობს.

Tavsili



Since the 11th century, the Jews of Georgia have maintained an orally transmitted translation of the Torah called the *tavsili*. Written in a combination of Old Georgian and vernacular Judeo-Georgian, the *tavsili* also includes many Hebrew words - unusual for Torah translations. The word *tavsili* is a Georgian cognate of the Arabic *tafsir*, the term used in the 10th century for Saadia Gaon's Judeo-Arabic Torah translation. This is due to contact between Arabic-speaking Jews and Georgian-speaking Jews in the 8th to 11th centuries following the Arab invasion of Georgia.

უსამშობლოდ და უმიწაწყლოდ დარჩენილი ებრაელები არსად, არც ერთ ქვეყანაში, ხელცარიელი არ მისულან; მათ ყველგან მიიტანეს ბიბლია და, მაშასადამე, მონოთეიზმის იდეა. გამონაკლისი არც საქართველო იყო. სწორედ ამიტომ ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრების ისტორია სავსეა სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებათა დიალოგის საამო და სასურველი ფურცლებით. ამის დადასტურებაა ზემო სვანეთში ებრაული თორას თაყვანისცემის უძველესი ტრადიცია. გადმოცემის მიხედვით თემის უხუცესები ფიცს სწორედ ებრაული თორას გრაგნილზე დებდნენ, თუმცა იმავდროულად ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ მრწამსს.




კიდევ ერთი მსგავსი ტრადიცია მიეწერება ლაილაშის სახელით ცნობილ ბიბლიას (X-XI სს). სოფელ ლაილაში ებრაელები და ქრისტიანები თორას ანგელოზების მიერ მოტანილ სიწმინდედ მიიჩნევდნენ და მას სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. საზოგადო გაჭირვებისა თუ უბედურების ჟამს ქრისტიანები და იუდეველები შეიკრიბებოდნენ, სინაგოგიდან თორის ამ იშვიათ ხელნაწერს გამოასვენებდნენ, მის წინაშე ისინი, ორივე კონფესიის მორწმუნეები, მუხლს ერთად მოიდრეკდნენ და ღმერთს შემწეობას შესთხოვდნენ.

ბიბლიის კიდევ ერთი ებრაული ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ცნობილია ბრეთის ბიბლიის (1513 წ) სახელით. საუკუნეთა განმავლობაში ბრეთის ბიბლია საქართველოში არამარტო ებრაელების არამედ ქრისტიანების თაყვანისცემის საგანი იყო. გადმოცემების მიხედვით ბრეთის ტაძარს მხვერპლს სწირავდნენ ებრაელები და ქრისტიანები მასში დაცული ბრეთის ბიბლიის პატივსაცემად.



Judeo-Georgian Intonation



The Jewish community of Georgia is one of the oldest in the world (approx. 2600 years old!). Their speech differs from that of their non-Jewish neighbors in grammar and the use of Hebrew words. But the most distinctive feature - the one that non-Jews highlight when imitating Jewish speech - is their intonation, the melody of their sentences.


www.jewishlanguages.org

ებრაელი მწერალი ნათან ელიაშვილი თავის წიგნში „ქართველი ებრაელების ისტორია“ აღნიშნავს, რომ ქართველები ბუნებით სტუმართმოყვარე და თბილი ხალხია. მათ მორალურ ვალდებულებად მიიჩნიეს ებრაელი ხალხის საქართველოში მასპინძლობა, რადგან სჯეროდათ ბაგრატოვანთა სამეფოს ებრაული წარმომავლობისა. ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად ებრაელების ქართველებთან ასიმილაცია არ მომხდარა, ისინი უცვლელად ინარჩუნებდნენ საკუთარ რწმენასა და ენას. თუმცა, მათ შექმნეს ძალზედ ორიგინალური დიალექტი ქართულის გავლენით, რომელიც დღეს იუდაურ-ქართული დიალექტის სახელით არის ცნობილი.

ებრაული თემი დღემდე შემორჩა თბილისში. თბილისის გარდა, მცირე ებრაული თემები არსებობს ქუთაისში, გორში, ბათუმში, ონში, სურამში, ქარელში, ახალციხესა და სხვა ქალაქებში.



დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის მუზეუმი უნიკალური წყაროა საქართველოში ებრაელთა ყოფნის მრავალსაუკუნოვან ისტორიისა. აქ უმდიდრესი მასალებია წარმოდგენილი სხვადასხვა სახის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიკული და ისტორიული არტეფაქტების სახით, მათ შორის ძველი ხელნაწერები, ფოტოები, ნაკეთობები და ვიდეო არქივები.



@ Designed by Vladimer Narsia